- ჯერძო სექტორში დასაქმებულ ქალთა მდგომარეობის გათანაბრება საჯარო მოხელეთა უფლებრივ მდგომარეობასთან ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებისა და ჯამპენსაციასთან მიმართებით;
- დასაქმებულისათვის, რომელსაც ჰყავს 3 წლის ასაკამდე ბავშვი, სამსახურის შენარჩუნება;
- დამსაქმებელის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან სამსახურში დაბრუნებული დასაქმებულის ჯვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ღონისძიებების გატარება;
- დამატებითი შესვენება ფეხმძიმე და მეძუძური ქალისათვის;
- მარტოხელა და მრავალშვილიანი დედის სტატუსის განსაზღვრა და მათთვის შესაბამისი დამატებითი გარანტიების დაწესება;
- სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვთა დედებისათვის დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლების განსაზღვრა.

მიიღე გადაწყვეტილება -
გაერთიანდი პროფკავშირებში,
რომ ერთობლივი ძალებით
შევძლოთ სასურველი
შედეგის მიღწევა!

იცოდე შენი უფლებები
და მოითხოვე მათი დაცვა!

ახალი ინფორმაციის სისტემატურად მისაღებად გაერთიანდი DFL Georgia გადაწყვეტილება ცხოვრებისათვის facebook ჯგუფში. გაგვიზიარე შენი გამოცდილება, სურვილები, წინადადებები რათა ერთად, უკეთესად განვსაზღვროთ და მოვითხოვოთ ჩვენი უფლებების გაუმჯობესება და მათი განხორციელება.



ვაჟა-ფშაველას გამზირი 1/43 , თბილისი
ტელ.: +995 322 32 35 47
www.gtuc.ge
info@gtuc.ge
facebook: DFL Georgia-გადაწყვეტილება ცხოვრებისათვის

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ქალთა კომიტეტი

ITUC და PERC-ის მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ITUC CSI IGB

საქართველოში ახორციელებს საერთაშორისო კამპანიას ახალგაზრდა ქალებისათვის

გადაწყვეტილებები უკეთესი მომავლისათვის

მოითხოვე შსო-ს 183-ე „დედობის დაცვის“ კონვენციის რატიფიცირება

DFL

DECISIONS FOR LIFE

ახალგაზრდა ქალებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მხოლოდ თავიანთი უფლებების ცოდნით და მათი შესრულების მოთხოვნით შეძლებენ საკუთარ ცხოვრებაზე გულდასმით დაკვირვებას და მისი გაუმჯობესების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებას.

გაეცანი შენს უფლებებს, მოითხოვე მათი შესრულება, მიიღე გადაწყვეტილება საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

დაიხმარე პროფკავშირები ამის მისაღწევად!

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე „დედობის დაცვის" კონვენციის რატიფიცირების მოთხოვნით შენ შეძლებ არა მარტო შენი, როგორც ახალგაზრდა დედის, არამედ როგორც ქალის უფლებების გაუმჯობესების გზაზე სერიოზული ნაბიჯის გადადგმას.

ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებები:

2013 წელი

- ✓ 4 ივლისიდან აიკრძალა ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანისა და ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულების გამოყენების დროს (შრომის კოდექსის 37-ე მუხლი).

2014 წელი

- ✓ 1 იანვრიდან გაიზარდა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების დღეთა ოდენობა 126 კალენდარული დღიდან 183 კალენდარულ დღემდე. გაიზარდა დეკრეტული შვებულების ანაზღაურების ოდენობა 600-დან 1000 ლარამდე. დეკრეტული შვებულების დღეები გაიზარდა 477 კალენდარული დღიდან 730 კალენდარულ დღემდე. (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-44/ნ, 11 დეკემბერი, 2013 წელი);
- ✓ 1 ივლისიდან მშობიარობა გახდა უფასო, 500 ლარის ფარგლებში, გართულების შემთხვევაში - 800 ლარი (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, საქართველოს მთავრობის №36 დადგენილება , 2013წელი);
- ✓ 1 ივნისიდან 6 რეგიონში,(გურია, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი) შობადობის მნიშვნელოვანი კლების გამო , ყოველი მესამე, 2 წლამდე ასაკის ბავშვის მშობელი სახელმწიფოსგან ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს. დახმარების ოდენობა მთიან რეგიონებში - 200 ლარი, ხოლო ბარში -150 ლარია. (საქართველოს მთავრობის დადგენილება №262);
- ✓ 16 ივნისიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით , ორსულებისათვის განსაკუთრებით აუცილებელი ვიტამინებისა და მიკროელემენტები უსასყიდლოდ გაიცემა. (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, დადგენილება №397, 31 დეკემბერი, 2013წელი).

ვაგრძელებთ მუშაობას, რათა მიღწეული [illegible]

- შსო-ს 183-ე „დედობის დაცვის" კონვენციის რატიფიცირება, რადგან ამით სახელმწიფო იღებს ვალებულებას დაიცვას ქალის უპირველესი მისია - დედობა და დედობის უფლება;
- სახელმწიფო დახმარება ყველა ქალს - ყოველ ახალშობილზე;
- თვითდასაქმებული ქალებისთვის ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებული დეკრეტული შვებულების სარგებლობის უფლების უზრუნველყოფა;
- ფეხმძიმე ქალებისთვის ფეხმძიმობის პერიოდში სამუშაო პირობების შემსუბუქება და მისი მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა;
- ფეხმძიმობის პერიოდში სამედიცინო გამოკვლევების გამო გაცდენილი სამუშაო საათების საპატიოდ ჩათვლა;
- დასაქმებულისათვის 5 წელიწადში ერთხელ ხელფასის შენარჩუნებით, 3 თვემდე ვადით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლო შვებულების მიცემა;
- ატესტაციის კონკურსის ჩატარების წესის განსაზღვრა.

DFL

DECISIONS FOR LIFE